

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორს ქალბატონ თეონა ხუფენიას

ქალბატონო თეონა,

ჩვენთვის ცნობილია, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა, იყოს რეგიონში ძლიერი საგანმანათლებლო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს განათლების სახელმწიფო პოლიტიკის, რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინებით, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ და არის ხარისხიან განათლებისა და მაღალი კულტურული აზროვნების გარანტი. ასევე ცნობილია, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ამზადებს და გადაამზადებს ახალსამეცნიერო პერსონალს, მასწავლებლებს, ქმნის, უზრუნველყოფს და განავითარებს სასწავლო და კვლევის პირობებს სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებ შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი მოდიფიკაციის გზით.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად უნივერსიტეტმა თავისი სტრატეგია სწორედ რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინებით შეიმუშავა და აკადემიურ და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ძირითადად აგრარული, სამშენებლო, ტურიზმის, მენეჯმენტის და ჰუმანიტარული (ეკონომიკური) დარგების მიმართულებით.

მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტში უნდა შეიქმნას და განხორციელდეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები პედაგოგიკის მიმართულებით, მათ შორის დაწყებითი განათლების საბაკალავრო, მასწავლებელთა გადამზადების 60 კრედიტიანი და მასწავლებელთა სერტიფიცირების პროგრამა.

ზემოაღნიშნული პროგრამების შექმნა რეგიონში ამ დარგის კვალიფიციურ სპეციალისტებზე მოთხოვნამ განაპირობა. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კვალიფიციური მასწავლებლის მომზადება. ამავდროულად პროგრამის არსებობა საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული რეგიონიდან ახალგაზრდების გადინება და დიდ ქალაქებში მათი კონცენტრირება, აღნიშნული თავის მხრივ გავლენას ახდენს რეგიონის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზეც. პროგრამის განხორციელება გაზრდის საზღვრისპირა რეგიონის აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის სპეციალობის ხელმისაწვდომობას, რეგიონის საჯარო სკოლებთან ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას.



ასევე გაცნობებთ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების განაცხადის სტატისტიკური მონაცემებით აბიტურიენტთაგან ფიქსირდება მოთხოვნა სამართლის მიმართულებაზე.

გთხოვთ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწყებითი განათლების საბაკალავრო, მასწავლებელთა გადამზადების 60 კრედიტიანი და მასწავლებელთა სერტიფიცირების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მოგვიმზადოთ შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.

№1 საჯარო სკოლის დირექტორი

/ნინო გოგიტიანი/



№2 საჯარო სკოლის დირექტორი

/მარინა ქარცხია/



№3 საჯარო სკოლის დირექტორი

/ელზა კვარაცხელია/

№4 საჯარო სკოლის დირექტორი

/ნანა ხუფაცარია/



№5 საჯარო სკოლის დირექტორი

/დოდო ცეციტია/

№6 საჯარო სკოლის დირექტორი

/ია კერზაია/



№10 საჯარო სკოლის დირექტორი

/ზურაბ კუპრეიშვილი/

